



# თეატრი

1889 წ.

№ 41 & 42.

ნოემბრის 19.

გაზეთი ღირს: ერთის წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე ნომერი—15 კ. ხელის-მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлисть, книжный магазинъ Чарквіани, Роману Панцхава.

რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას. გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდეთ მოწერილი სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

ქართული საკვირაო გაზეთი

## „თეატრი“

მომავალ 1890 წლის იანვრის თეილამ გაზ. «თეატრის» გამოცემა ახალ თანამშრომლების მონაწილეობით, რედაქცია ყოველ გვარ ღონისძიებას მოიხმარს, რომ თავისი გაზეთი გააუმჯობესოს, როგორც შინაგანის, აგრეთვე გარეგანის მხრით.

გაზ. «თეატრის» ფაჩი:

მთელი წლით 5 მან. | თვიურად . . . 1 მ.  
ნახევარ წლით 3 » | თითო ნომერი. 15 კ.  
ხელის-მოწერა მიიღება ამ ადრესით: Въ Тифлисть, книжный магазинъ Чарквіани, Роману Панцхава.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

სამშაბათს, 21 ნოემბერს

ქართული თეატრის  
არტისტები წარმოადგენენ  
ახალი პიესა


### ზვილტკივილი

კომედ. 3 მოქმედ. კ. ყიფიანისა.  
ანუჟა ბატონიზვილი  
ისტორიული დრამა 3 მოქმ.  
დ. მესხისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.  
ფასები ჩვეულებრივია.  
დასაწყისი 8 საათზე.

## გლეხობის შესახებ

საგლეხო საქმე სხვა-და-სხვა დროს სხვანაირად ესმოდათ. აღმოსავლეთის უძველეს ქვეყნებში, სადაც მიწის მუშაობა ათას წლებს წინეთ დაიწყეს, ორი რამ იყო მიწის მუშა ხალხისათვის უმთავრესად საჭირო. 1) თავის დაცვა გარე შემორტყმულ უბინადრო და მწყვესურ ტომთაგან, რომელთაც იტ-





ყუებდა მიწის უხვი მოსავალი, და 2, საერთო შრომა სა-  
წყაფი არსებდა და ტბების და საეკონომიკური გზების გასაკეთებლად.  
და რადგანაც თვითველ მიწის მუშა თემს სხვა თემებთან  
არაერთობის და მოკიდებულება არ ქონდა და მხოლოდ თავისი  
საკუთარის მიწით და საკუთარის შრომით იკმაყოფილებდა  
ყოველგვარ მოთხოვნილებას, ამიტომ საჭირო იყო ცენტრა-  
ლური ძალა, რომ განცალკევებული თემების ძალნი ერთად  
შეეკრიბნა გარეშე მტერთაგან საბრძოლველ და საერო შრო-  
მისათვის. აქედან წარმოსდგა ადამიანების ურთიერთ შორის  
მჭიდრო კავშირი, რამაც შექმნა საერთო ანუ ერთიანი  
ენა,—ეპრობა, რომელსაც ყოველის კუთხიდან მოჰქონდა  
სხვა-და-სხვა საქონელი იქ, საცა საერთო შრომისათვის იკრი-  
ბებოდა ხალხი, ასტრონომია, რომლის საშუალებითაც მდი-  
ნარეგებიდან გადაიყვანდნენ წყალს განგებ გაკეთებულ ტბებ-  
ში შესაფერ დროს,—არქიტექტურა, რომლის შემწეობითაც  
უნდა გაეკეთებიათ უდიდესი სარწყაფი არხები და ამოეთხარათ  
უხარამზარი წყლის რეზერვუარები, ანუ ტბები,—კომერცია  
მიწის სწორ სწორა დაყოფისათვის, და ბოლოა—ლიტერატუ-  
რა, რომელიც შექმნეს თავისუფალ დროს და მოკალეობის  
მქონე წოდებათა.

მაშასადამე მთელი მაშინდელი კულტურა და ცივილი-  
ზაცია შედიგი იყო მიწის მუშაობისა, ანუ სამეურნეო წარ-  
მოებისა.

შემდეგ ძველ საბერძნეთში და რომში მონობა ისე გა-  
ძლიერდა, რომ მათი წარმოების საფუძველად შეგვიძლია მო-  
ნობა აღვიაროთ. ხელობამ და აღებ-მიცემობამ, რომელთაც  
უძველეს ჭეყნებში მეორე აღვილი ეკავათ, საბერძნეთში და  
რომში უპირატესობა დაიკვიდრა. მაგრამ როგორც ხელობა-  
ში, ისე ვაჭრობაშიც მონებს წილად ხედათ მხოლოდ უბრა-  
ლო ფიზიკური მუშაობა, პატრონებს-კი კეთილშობილური,  
ესე იგი გონებით მუშაობა. რომ ამ ნაირი შრომის განაწი-  
ლება არ მოხდებოდა, მაშინ ეს ორი შესანიშნავი ხალხი

ცივილიზაციას ვერ ეღირობოდა- მაშასადამე, მონობა სხვათა შორის იყო მათი ცივილიზაციის მიზეზი და საფუძველი.

ვინ არ იცის ეხლა, რომ მთელი ეხლანდელი ევროპის ცივილიზაცია უბრალო მუშა ხალხს, ანუ პროლეტარიატს აწვეს კისერზე და რომ პროლეტარიატი არ ყოფალიყო, არც ეხლანდელი შესანიშნავი მეცნიერება და მრეწველობა იქნებოდა!

ამ ნაირად, როცა მუშა ხალხის მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, მარტო იმისი განსაზღვრა, კი არ კმარა, თუ როგორა ცხოვრობს, რას ჭამს, რას სვამს იგი, არამედ უნდა განისაზღვროს, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმას კაცობრიობის ისტორიაში.

ჩვენდა საუბედუროდ, ეს სხვაგან კაი ხნიდან შეგნებულნი აზრი ჩვენთვის მხოლოდ პარადოქსად ითვლება. ზოგიერთ ჩვენთაგანს გონია, რომ ჩვენთვის საკლებო კითხვა სრულიად ფუტკიაო და მხოლოდ ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინებაზე უნდა ვიზრუნოთო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვაჭრობისა და მრეწველობისათვის ხომ მუშა-ხელია საჭირო და მუშა-ხელი ხომ გლეხებისაგან უნდა გამოვიდეს. მაშასადამე ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინებას თან მოსდევს საგლეხო კითხვა. მეორე უფრო კეთილშობილური პირები ამბობენ, რომ გლეხს თქვენი არაფერი უნდა, მხოლოდ მიწა მიეცითო და შემდეგ იგი თავისთავად კულტურასაც შექმნის და ცივილიზაციასაცო. მათ ჯერ კიდევ წარკვადგენილი არა აქვთ, რომ მუშა გლეხი, რომელიც ჭიპით არას მიკრული მიწაზე და ამ თავის დედა-მიწას და მამა-პაპეულ წარმოებას ვერ ასცილებია, ბუნებით კონსერვატორია და რომ გლეხური წარმოება თავის ცხოვრების განახლების სურვილს არ აძლევს კაცს, რაც უნდა ბევრი მიწა ქონდეს. განა თუ ჩვენში მდიდარი გლეხები არ არიან? მაგრამ რატომ არა აქვთ იმათ თავისი შეილებების გამოზღვის სურვილი, მაშინ როდესაც უკანასკნელი კულა აზნაური შეილი ტყავს



იძრობს ამ საქმისათვის? ეს უბრალო მავალითიც საკმაოა, ჩემი ფიქრით, ხსენებული აზრის დასარღვევლად.

მაგრამ პრაქტიკულად რომ შეგხედოთ ამ საქმეს, მაშინ სრულიად ველარ გაუძღვება იგი კრიტიკას. ჩვენში, როგორც მოგვხსენებათ, მიწაზე კერძო საკუთრება სუფევს. მაშ რამელი კანონი წაართმევს მიწას ტყველა უბრალოდ მდიდრებს და მიუსაკუთრებს ღარიბებს?

ერთნაირი აზრი ტრიალობს, რომ ჩვენს გლეხს შეუძლია შეითვისოს ის უმაღლესი და სამართლიანი ურთიერთობა, რომლის შეთვისებასაც ევროპის ერები ელტვიანო. მაგრამ ეს აზრი იმდენად ველურია, რომ იმაზე არ შეეჩერდებით.

მაგრამ დღეის იქით მუშა ხალხი, როგორც უბრალო მუშა, ჰკარგავს თავის უწინდელს დიდს მნიშვნელობას. ახლა ევროპის განათლებულმა ხალხებმა ისეთი რთული სამუშაო იარაღები შემოიღეს, რომ კაცის ფიზიკური მუშაობა თითქმის საჭიროც აღარ არის და მუშას მხოლოდ მაშინების თვალის დევნა და მართვა სჭირდება, მეტი აღარაფერი. მართალია, ყველგან ამისთანა იარაღებით არ მუშაობენ, მაგრამ შესაძლებელია ბოლოს-და-ბოლოს ისე გავრცელდეს ამ გვარი იარაღების ხმარება, რომ იმ გვარი ფიზიკური შრომა თითქმის სრულიად მოისპოს, რომელსაც დღესა ვხედავო.

კაცობრიობის წინ სელა და პროგრესიც სხვა პირობებთან ერთად ემოჩინებოდა იმ კანონს, რომ, რაც უფრო ათავისუფლებდა კაცს იარაღი ხარვეთ შრომისაგან, იმდენად ნაკლები რიცხვი „შავი მუშებისა“ იყო საჭირო წარმოებისათვის, იმდენად მეტი კაცი თავისუფლებოდა ამ პირუტყულ შრომისაგან და ჰკლებდა ხელს მეცნიერებას, ხელოვნებას და ყველაფერს, რაც კი კულტურასა და ცივილიზაციას შეადგენს.

მეორე უმთავრესი მიზეზი პროგრესისა არის ვაჭრობა, რომლის საშუალებითაც ადამიანი გაიცინობს სხვა-და-სხვა ხალხების ყოფა-ცხოვრებას, მათს ხელოვნებას და მეცნიერებას. საბერძნეთისა და რომისა, როგორც ზემოთ ვთქვით, და აგრეთვე

მთელი თანამედროვე ცივილიზაცია, სხვა პირობებთან ერთად ვაჭრობის შედეგიც არის.

მესამე მიზეზი პროგრესისა უნდა იყოს კაცის უბრალო ფიზიოლოგიურ მოთხენილებათა დაკმაყოფილება. ჩვენ ვხედავთ, რომ იქ, სადა ხალხი ნიადაგ შიმშილის შიშით ცანცანებს, უმაღლეს გრძნობების და აზრების განვითარებას აღარ დაჰკიდებს.

აქედან ჩვენ შემდეგნაირი დანასაკები შეგვიძლია გამოვიყენოთ.

გლენობას, როგორც მუშა ხალხს, აღარ აქვს ახლა ის დიდი მნიშვნელობა, რაც წინეთ ქონდა. წინეთ თვით გლეხები და საზოგადოთ მუშა ხალხი შეადგენდნენ უბრალო სამუშაო მაშინებს. მაგრამ დღეს ამ სულ-დგმულ მაშინების ადგილი უსულო მაშინებმა დაიკავეს, და ეს გარემოება უქანის საზოგადოთ ყველა მუშებს და აკუთრად გლენებსაც დიდ თავისუფლებასა და მოკალეობას და გამოიწვევს იმათ აქტიურად ცივილიზაციის გზაზედ.

სანამ გლენი მხოლოდ თავის მიწაზე ქიპით იქნება მიკრული, არ გავა-გამოვა და გაიცნობს სხვა ხალხებას კულტურასა და ცივილიზაციას, სანამ იმასაც მუდმივი მონაწილეობა არ ექნება მიღებ ული კაცობრიობის მიმდინარე ცხოვრებაში, მანამ იგი მარჩება გვერდზედ ისევ თავის მამა-პაპეულ სახნისითურთ.

თუ ჩვენი ხალხი კაპიტალისტურმა წარმოებამ მხოლოდ ქარხნებში მუშებად ანუ საპალნის ვიჩებად მოიხმარა, როგორც ახლა, მაგ. შავი ქვა ხმარობს, ამნაირი პერსპექტივა ბევრს კარგს არაფერს გვიქადის და, მე რომ მკთხოთ, ისევ გულ-უბრყვილი და მზავეარი, მაგრამ ფიზიკურად ღონიერი გლენი სჯობია, ვიდრე განხრწნილი და გაოხრებული ქარხნის მუშა.

მაგრამ ესლანდელი ტენნიკის მარტივი მაგალითები რომ გავმოვწეროთ ჩვენს გლენობაში, მაშინ, ჩემის ფიქრით,

დიდ წარმატებაში შევა კერძოდ გლეხობა და საზოგადოდ მთლად ჩვენი ქვეყანა.

ერთ ალაგს ლ. ნ. ტოლსტოი ამბობს, რომ მეცნიერებს ის დიდი საყვედური ეთქმისო, რომ იკნო მუშა ხალხს ყურადღებას არ აქცევენო. ეს საყვედური სამართლიან ა, მხოლოდ თუ მეცნიერებს ავაშორებთ და ის პირებზე გარდაეიტანთ, რომელნიც მეცნიერების ნამყოფს ხალხის საწველავად ხმარობენ. თვით მეცნიერება თავის-თავად არც არისტოკრატიულია და არც დემოკრატიული, მხოლოდ მეცნიერების გამოყენება ხან არისტოკრატიულია და ხან დემოკრატიული. დღეს ევროპაში მეცნიერების წინააღმდეგ არაფერ არ იბრძვის; იბრძვიან მხოლოდ ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

მაგრამ იქ ორი ერთმანეთის წინააღმდეგი დასი მთლად უზ.რ-მაზარი ტენიკის-ნამყოფებისათვის, უზარ-მაზარი სიმდიდრისათვის იბრძვის, რომლის მსგავსი არც კი ზმანებაა ჯერ არამც თუ ქართველს, არამედ მთელს უწინდელს კაცობრიობას. ევროპის უმაღლეს ტენიკის გადმონერგვა ჩვენს ნიადაგზე მხოლოდ სუფელური ფანტაზია იქნებოდა. მაგრამ უბრალო, მარტივი იარაღებისა და ტენიკური ცოდნის გაერცვლება შინაურ მრეწველობის აღორძინებისათვის, მათი შეუერება ჩვენს უხვ ბუნებას ძალებთან და თვით ბუნების ძალების მარტივად გამოყენება— ყველა ეს შესაძლოა მხნე და თავ-გამოდებულ ინტელიგენციისათვის. და ხალხმა თუ ახალ წარმოებას ხელი მოჰქია, ამითი იგი გაიღვიძებს თავის ღრმა ძალისაგან, შეუერთდება კაცობრიობის მოწინავე ერებს ისტორიას, და მასთან ერთად დიწყებს წარმატებისაკენ სვლას.

ვ. წ—ლი.

მწერლობის მიმართულია იგი, რომელიც, თითქმის მთლიანად

ქართველი მწერლების კავშირი



## ქართული თეატრი

(წამოადგენა 14 ნოემბრისა — გ. უიფიანის ბენეფისი: „კარდინალი რიშელიე“, სუთ მოქმედებანი ღამა, ა. ცაგარელის მიერ).

„საარისტოკრატიკო არტისტიკა,“ როგორც უწოდებს გ. უიფიანს ბ. გუჩია თავის ბროშურაში („ქართული თეატრი“), საბენეფისოდ მართლაც არისტოკრატიული, დიდათ სურმოზული პიესა დადგა. გაჭიმული სუთ მოქმედებათ და რვა სურათათ შიქელი ღრამა იმ პარის სურათისა, რომელმაც მჭიდრო საფუძვლი დასდო საფრანგეთის ნაწილების შეერთებასა, გარეგანი და შინაგანი მტრების შემუსკრისა და სამშობლოს დიდების სხვიით შემოსვისა.

ეს გასაოცარი ვატი გაუჩნდა საფრანგეთს სწორედ მასწინ, როცა უკანასკნელის ისტორიის მსვლელობამ წარწასავლელად მოითხოვა სხვა-და-სხვა სისტემი და შეურყეველი ზომები. თავისი პირდაპირი შეურყეველი ხასიათი რიშელიემ შეუთვრდა თავის სამშობლოს საზღებლობას და ამით შესანიშნავი მაგალითი მოგვცა იმისა, თუ რა შეუძლია ძლიერი ნების ვატი ისტორიის მსვლელობაში. ღრამაც ამასუდას ამენებულა: კარდინალის ეოველ სიტუვაში, ეოველს მოქმედებაში პირველი და უკანასკნელი ადგილი საზოგადო და საპოლიტიკო ინტერესებს უჭირავთ; საშინაო, კერძო კითხვები რიშელიეს თითქოს არ აქვს. მისი შინისტრობის წინააღიდეგ შეთქმულობა შემდგარი, მისი გარდღილის, იუღა დემორტოქრის გამო. სხვა-და-სხვა პარები შულსა და მუნანათობას არ კრიდებან. თუ კარდინალს შეეფე მის ეოველს ძალას და უფლებას ართიკვს და ადრინდელი «ეველაფრდამ» კლანდელ არაფრად ჰსდის — რიშელიე მაინც თავისას იყინებს... ის მაინც საფრანგეთზე ფიქრობს.

ამ გვარად ვაკეო გ. უიფიანს რიშელიეს როლი, თუმცე ნათქვამიდანაც სჩანს, რომ შეიძლება კარდინალს ისეთი პირდაპირი მვარც და სუსხი ხასიათი არ მისცემოდა. შინაურ ცხოვრება, პირადული ინტერესები ადვილათ მონასვიდენ უფრო ფართო სარ-



ბიელს სსკა ვინმე ანტიკის თამაშშია. უიფიანმა-ვი ვკლავფერი ეს უარქუო და თავისი მეცადინეობა სულ ამ კანცის ხასიათის ცნობად მხარეს მოახდომა.

სსკა-და-სსკა ნაირი გაგება როლისა, რასაკვირველია, თვით ანტიკის ხასიათზე და ნიჭზეა დამოკიდებული. უიფიანს ნამეტანი პირდაპირი, შეუცვლელი ნიჭი აქვს და იგი თითქოს ვიდრე ვერ იცნობს კანცის ხასიათის რაყობას. უიფიანი სერიოზულ რალებში მუდამ რაიმე აზრითაა გატაცებული, ის ამ აზრით ცოცხლობს ამ აზრისათვის ხასობს, მოქმედობს. თუ მოისურვა როლის გასსკაფერება, ასე ვთქვათ, გაძიდება, უნდა უფურთო, რა უშნო და უხერხულა სტენებია ამ გვარი ადგილები. მაგ. სამშახათის წარმოადგენაში უიფიანმა ერთ ადგილას სცადა, ცოტათი ღმობიერათ დაეკავა თავი, აი იქ, სადა იუღია-დე მორტიქერი თხოვს კარდინალს, ნება მომეცით, კავალერ დე მოშახს ცოლათ გავეყვო, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეტყობა უმთავრესმა აზრმა, საზოგადოების ინტერესმა სძლია ამ საშინაო მინუტსაც და რაშედეგი—უიფიანი ისე მშრალად დასთანხმდა, თითქოს აზრშიდაც არ ჰქონდა თავისი შვილობილის ბედი.

ადგილის უქონლობა ნებას არ კვამდევს განვარტოთ შინიშენები უიფიანის თამაშის შესახებ. კერძ სსკებს შევსებით, ვიტყვით მსოლოდ, რომ 14 ნოემბრის წაზმოდგენა ჩვენი ტრუშპის უფრო ცოლხით განკითარებულ ნიჭს სახაკადა, ვიდრე ისე, ბუნებრივს და ეს არც საკვირველია, რადგან მონაწილეობას არ იღებდენ არც ბაშიქ და არც გაბუნია-ცაგარელია. მაგიერათ, რა სიამოვნება და დიდი ესტიტოური კმაყოფილება იგრძენეს მყოფებლებმა. როცა მეცადინეობამ და ბეკითობამ ერთის მხრივ და სსკა-და-სსკა იურის ნიჭმა მეორეს მხრივ ასე რიგინად ჩატარეს ეს ყოვლად მდიდარი შიქსა.



# ძოულოვნელი სახუქარი

კოკედი ანთს მოკვამებად.

(ურანგ, ლიდან)

მოკვამენი შირნი:

ჩუკტორ, ახალგაზდა ვეპილო,  
აქან, მედიცინის სტუდენტი.

მარგარიტა, ახალგაზდა მეერვალი.

(სტენა წარმოადგენს უბრალოს, მაგრამ სუფთა ოთახს მეერვალი ჯალისას. მარჯვნივ ბუხარია, რომელსედაც სდგას საათი და ვაზა; ბუხრის შორი ახლას, ავანსტენაზედ, სდგას შატრა სამუქაო სტოლა. მარცხნივ ფანჯარას, კამოდი, რომელზედაც აწევია სკა და სკა ნივთები და შატრა სარკე. კარები შუაზედ აქვს).

## პირველი სანახაში.

მარგარიტა. (მარტო. ზის სტოლთან, რომელზედაც დევს თეთრი ყელსახეჯი. დილაეს აკურებს თეთრს ხელთათმანებზედ) უგუნური ცყვი, როცაეც ჩემს თავს ვანუგეშებდი ოცნებებით და მავიწყდებოდა, რომ ღარიბი ვარ; თუმცა. მართალია, ჰეკტორსაც ბევრი არაფერი არა აქვს. საქმე იმაში არის, რომ იმან ხომ არ იცოდა ჩემი გულის საიდუმლონი, და ამიტომ არ შემიძლიან დაემდურო იმას პასზედ, რომ ვერ მძიხვდა გულის წაღილს; მხოლოდ მე არ შემიძლიან შევითვისო ის აზრი, რომ იგი ცოლს ირთავს, რომ იგი



სხვას აძლევს იმ გულს, რომლისაც, ჩემდა უნებურად, ჩემი გულის ხმის წინააღმდეგ, მე .მსურდა განუყრელად მფლობელობა. (კედეჯუდ აჩკენესი). ჩემს გვერდზე ამ პატარა ოთახში აღარ იცხოვრებს ჩემი მეგობარი; ყოველდღიური ბაასი მიჩუმდება; ჩემს გაღვიძებას აღარაფერს მიესალამება მეგობრულის „დილა მშვიდობისა“; ამის შემდეგ ვეღარც ტკბილად დავიძინებ, რადგანაც ვეღარ გავიგონებ მეგობრულს „ღამე მშვიდობისა“!.. ჩემი ბედნიერება დიდი არ იყო, მაგრამ იგი საკმარისი იყო ჩემთვის. ენლა ამ ბედნიერების დაკარგვა საშინლად მძმარს. მე ვგრძნობდი, რომ მე უყვარდით, პატივსა მცემდენ; გარს მხეხია მყუდროება და რწმუნება, და განგებას მეტს არაფერს არა ესთხოვდი, ოღონდ ყველა ეს კოტაოდნად ხანგრძლივი ყოფილიყო... (კარების კაკუსი).

### მომკრმ სანახავი

#### მარგარიტა და ჟან.

**მარგარიტა.** მობძანდით.

**ჟან.** მოგესალმებით თქვენ, ამ უბნის თვალთ (მარგარიტა თავს აჩნებს უკმაყოფილოდ). დიახ, თვალთ, ვიმეორებ ნათქვამს ..

**მარგარიტა.** ეგ პირფერობაა!

**ჟან.** პირფერობა! მე არ ვიცი პირფერობა! არა ესაჭიროებთ ეს არის საზოგადო სენი ლაპარაკში, ეს არის ჭახ-რაკი ყოველის კაცობრიულის აღერ'ისა. და თუ თქვენ ამას გეუბნებით, პატიოსან სიტყვას გაძლე-

ეთ ჟანისას, რომ მასვე ვფიქრობ. მეტადრე დღეს,  
 ვიდრე როდისმე....

მარგარიტა. მერე მეტადრე დღეს რათა, ვიდრე როდისმე?  
 ჟან. (სტოლთან მარჯვნივ დაჯდება). იმიტომ რომ მე დღეს  
 არეული ვარ....

მარგარიტა. ცუდი დღე ამოვირჩევიათ, ჟან; დღეს პირველი იან-  
 ვარაღამერევიან ვგებება აგრე ახალწელიწადს? სხვა  
 არა იყოს რა, თქვენ ვალდებული ხართ კაი ქეიფ-  
 ზედ იყოთ დღეს კიდევ იმიტომ, რომ დღეს ქორწი-  
 ლში ხართ!

ჟან. აი კიდევ ესა მრევს, რამ დაპატიჟებულთა რაცხვში მე  
 ვარ და თქვენ არა!

მარგარიტა. და რა მიზეზით უნდა ვიყო დაპატიჟებული? ბა-  
 ტონი ჰექტორი იმ საზოგადოებიდგანა თხოულობს  
 ქალს, რომელ საზოგადოებაშიაც სრულებით ჩემი  
 ადგილი არ არის!

ჟან. (სტოლს მუშტს დაჭკრავს). იმ საზოგადოებიდგანა? მე ამას  
 ნუ მეტყვი! ესეც კიდევ ერთი იმ საზოგადო სენ-  
 თაგანია! (გაჩხარებული). პატიოსან სიტყვას გაძღვეთ;  
 ჭარის ოფლს მასხავს, რადესაც ვუყურებ იმისთანა  
 ხალხს, რომელსაც სურს მიითვისოს თვით და თა-  
 ვის შთამომავლობას რაღაც ცალკე კუნჭული; მიი-  
 თვისონ მხოლოდ იმიტომ, რომ იმათ ეწოდებათ  
 შატო გრან ლან, და არი ჩვენისთანა უბრალო გვა-  
 რება! ოოო! ეს ქვეყანა ჩემთვის მხოლოდ ერთი  
 ჭიანჭველების სოროა, სადაც ხალხი ფუთფუთებს,  
 ერთმანეთს ასკდებიან, სრესენ და ისე სცხოვრობენ,  
 განიყოვბაან რა ოთხ წილად: ჭკვიანებად, სულე-  
 ლებად, პატიოსნებად და ავ-ზაკებად.

**მარგარიტა.** თქვენ კიდევ მოჰყევით თქვენს დაუსრულებელს თეორიებს!....

**ჟან.** (თავს აქნევს). მგონია, მალე სულ არ მეცოდინება, რა საქმეს მოგვიკიდო ხელი, სწორედ! მაშინ, როდესაც თქვენა ჰკიცხავთ ჩემს თეორიებს, სხვები კიდევ მეუბნებიან, რომ სულ გამოუცდელი ხარო!

**მარგარიტა.** ეგ უკანასკნელი კიცხვა გადამეტებულია! თქვენი თავის დაჭერა, გამოგიტყდებით, სანაქებო არ არის, მაგრამ გული კი ოქროსი გაქვთ.

**ჟან.** სამწუხაროდ არა, იმიტომ რომ, თუ რომ იმ ძვირფასი ლითონისა ყოფილიყო ჩემი გული, იმწამსვე ფულად გადავაღწობდი მას.

**მარგარიტა.** თქვენ თავის დღეში დარბასელო არ იქნებით!

**ჟან.** მერე რათ მინდა, რომ დარბასელო ვიყო? ეს ჩემი დალუპვა იქნებოდა! ჩემი სიმდიდრე მხოლოდ ეს არის: ჩიბუხი, სიმხიარულე და ძალდაუტანელობა.

**მარგარიტა.** როდესაც ექიმი იქნებით, მაშინ ხომ ცოტათი თავი უნდა შეიკავოთ?

**ჟან.** ჯერ ერთი, ექიმობა მე ძალიან მეშორება; ჩვენი დროების ხალხი მე საბრალოდ მიმაჩნია, და მე ჩემ თავს ვინახავ უფრო ძლიერ მომავალისათვის. და ამასთანავე, როდესაც ექიმი ვიქნები, ჩემი კანონი იქნება ვეცადო ჩემი ავთომეოფები ვაცინო. იმის მაგივრად, რომ სხვა და სხვა წამლებით მოეწამლო ავთომეოფები, მეიმათ გამოგუწერ ხოლმე მხოლოდ იმას, რაც იამებათ. (ჩიბუხს მიხედავს და დასახსებს). რა ვიცით? იქნება მეც ისე კარგათ მოვარჩინო ხოლმე, როგორც სხვები? (მარგარიტა იღიმება) აი ხედავთ, როდესაც ჩემს მიზნამდია მთელი მთებია ევზემენებისა და მე ვამტკიცებ, რომ ჩემი წე-

სი კარგი იქნება მეთქი, თქვენ ღიმილი მოგივიდ-  
მაშინ, როდესაც სრულიად არა გქონიათ სურვი-  
ლი გაღიმებისა.

**მესამე სანახაში.**

**ივინივე და ჭკბტორი**

**ჭკბტორი.** (შავი შარვალი აცვია, ღია ყილეტი, მხოლოდ საშინაო  
სერთუვი. უანს). როგორ! შენ ისევე აქა ხარ და მავ  
ტანისამოსით? მერე როდის! როდესაც იცი, რომ  
ერთი საათის შემდეგ საყუარში უნდა ვიყენეთ!...  
აბა, გასწი ჩქარა და ჩაიცვი შენი შავი ტანისამო-  
სი.

**უან.** ჩემი შავი ტანისამოსი? შენ გინდა სთქვა ნაქირავეები  
ტანისამოსი, ამიტომ რომ იმედი მაქვს იმდენად  
პატივსა მცემ, რომ არ ჩამსთელი პატრონად იმ  
ფრაკისა, რომელშიაც ეპქაქებსა ჰგევხართ! ფრაკი!  
აი კიდევ ერთი საზოგადო სენი! მითხარით, ღეთის  
გულისთვის, იმ ტანისამოსში შეუღლება უფრო  
ძლიერია ხოლმე? ეს ტანისამოსი მე დამიჯდება  
შვილი ფრანკი და 50 სანტიმი, მომიტანენ მხოლოდ  
ათი საათის შემდეგ, ამიტომ რომ ვილაც სამსახუ-  
რის კაცი იმ ტანისამოსით თავის უფროსებთან  
წავეიდა გამოსაცხადებლად, (აღგება). მაინც შევიტ-  
ყობ, მომიტანეს თუ არა ის შავი ტანისამოსი;  
ამასთანავე ნება მომეცი, ერთი კიდევ გაგიმეორო,  
რომ ძალიან ახირებულებაა ცოლის შერთვა პირვე-  
ლს იანვარს!

ქატარ. მე შენ არ გეთანხმები! ეს სულ უბრალო სურვილია, რომ კარგად დაიწყოს კაცმა ახალი წელი....

ჟან. (მხრებს აიწვეს). დაწყებას ეძახი, როდესაც ყოველ საქმეს ათავებ? ოჰ, საწყალო ექილო! საბრალო ხარ შენის სოფიზმებით! (გადის).

ა. ცაგარელი.

(ღასასრული შემდეგში).

\* \* \*

წარსულს, წარსულს რო შევხედავ, ბნელია

გასაგებად, თუ რისიღა შენელია?

ჰირს მიუაქცევ და შევცქერი მოძავალს,

დავინახავ, მოძავალი ბნელია:

ბნელში ნათობს მხოლოდ მისი სასული

შეუბღალველ ძღვეთ, დაუზრახელი,

ვინაც ავ ბედს არ ემონა სიღაჩრით,

ბრძოლა იყო ჰირისჰირ, სულდასული.

იო



\* \* \*

(გერმანულით—ჰეინეს).

ჩემ სრულად ბნელ ცხოვრებაში  
 სსიენი მოსცა სასხემ ტკბილმა;  
 ტკბილი სასე შემდეგ გაქრა  
 და მომ. ცო სულ შრთლად ჩრდილმა.

ბავუები როს ბნელაშია,  
 შრწოლა უწეებს გულის ჭერას,  
 თაჟის შიშის გასადენად  
 მოყუებიან ძალლად მღერას.

მეც ბავუი რამ შერეკილი,  
 სიბნელეში ვიძღერ ასლა;  
 დაე, ეგ სმა არ გიამოსთ,  
 თუ შიში არ მომეასლა.

იო.

---

 My soul is dark

(ინგლისური—ზაირონის).

სულში ბნელა—ჩქარა მღერა  
 ქნარის! დამრჩა ეგ წადილი;  
 უურს ასმინე სიმინე სკერა  
 შენ თითების მოხდენილი.



მან იმედი, დაძთენილი  
 თუა გულისი, საფრინოს:  
 ტვინი მეწვის—თვალში გრილი  
 ცრემლი თუა, მან მადინოს.

ღრმად, მსეცურად დაჰკან სიმებს,  
 არ მასძინო სისარული:  
 მოფიტირო, რაც მამძიმებს,  
 თორემ დიას გასქდა გული;

დარდის მსრდელი მხუძად წელული  
 ღამის მთევი დიდი ხნითა  
 ასლა არის მისჯული  
 გასქდეს ანუ დასტებს ხმითა.

რედ.-გამომცემელი ა. ნებეჟრამე

## ს ბ ა მ ბ ა

გ რ ი გ ო ლ ხ ა რ ე კ ვ ი ა ნ ი ს ა

ლ.-მელექავის ქუჩ., ზუბალავის სასკეში  
 იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმებს.  
 სამის სუფთათ, რიგინად შასრულვაზე  
 მესტამბე პირობას აძლევს საქმის მომტანთ.